# ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევები - 2019

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE FOUNDATION OF GEORGIA

მეცნიერებისთვის, მომავლისთვის, საქართველოსთვის

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსი

გამარჯვებული პროექტი:

# „პარატაქსულ-ჰიპოტაქსური კონსტრუქციები სვანურში“

პროექტის ხელმძღვანელი:

ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი ნატო შავრეშიანი

# „სვანური ენის შესწავლის ისტორია“

სინტაქსის შესწავლის ისტორია სვანურში...
თანწობილი, ქვეწყობილი, ზერთული წინადადებები...
საკავშირებელი საშუალებები (სვანურის დიალექტთა გათვალისწინებით)...

*ისეთი უმწერლობო ენისათვის, როგორიცაა სვანური, ნებისმიერი გრამატიკული საკითხის კვლევა ფასდაუდებელია!

*მათ შორის მნიშვნელოვანია და საინტერესო სვანურის წინადადების კონსტრუქციები!

* პროექტის ძირითად მიზანი და შედეგი:

მონოგრაფიის შექმნა „პარატაქსულ-ჰიპოტაქსური კონსტრუქციები სვანურში“

# იბერიულ-კავკასიური ენათა ოჯახი

ქართველური (იბერიული)

აფხაზურ-ადიღეური

ქისტურ-ბაცბური

დაღესტნური

ქართველური ენები/ ურთიერთმონათესავე ენები:
ქართული, ზანური (მეგრულ-ლაზური) და სვანური

## ზოგადი ეთნიკური მახასიათებლები

1. ეკოსისტემა 2. სამეურნეო - კულტურული ტიპი
3. ენა 4. ფსიქიკური მოწყობა , აზროვნების წესი

ენაში
აისახება
და
გამოიხატება
ეთნიკური
მახასიათებლები






# ენა იცვლება დროსა და სივრცეში!

- ენის ცვლილება **დროში** აჩვენებს, რომ **ენა ისტორიული კატეგორიაა** (ძველი (V.-XI). საშუალო (XII-XVIII), ახალი (XIX), თანამედროვე)
- **ენის ცვლილება სივრცეში** დიალექტების (კილოების) წარმოქმნის საფუძველია.
- ცვლილების შედეგად იზრდება **განსხვავება** დიალექტებსა/ენებს შორის;
- ცვლილების შედეგად იზრდება საერთო, **მსგავსი ნიშნების** რაოდენობა.
- **ერთი ენის დიალექტების განმასხვავებელი ნიშნების ისეთი რაოდენობა, რაც იწვევს გრამატიკული წყობისა და ძირითადი ლექსიკური ფონდის ცვლას, არის საფუძველი ახალი ენების ჩამოყალიბებისა.**
- საერთო წარმოშობის ენები **მონათესავე ენათა** ოჯახს ქმნიან.
- ერთი ენის დიალექტების დამოუკიდებელ მონათესავე ენებად ქცევის პროცესი წარმოადგენს ენათა ოჯახის წარმოქმნის პროცესს.

- ქართულს გააჩნია 17 დიალექტი:
- ლოკალურ ეკოსისტემაში არსებული
- **ქართლური, კახური, ხევსურული, მთიულური, ფშაური, თუშური, მოხეური, მესხური, ჯავახური, იმერული, რაჭული, ლეჩხუმური, გურული, აჭარული**

- საქართველოს საზღვრებს გარეთ
- ინგილოური (აზერბაიჯანში)
- ფერეიდნული (ირანში)
- იმერხეული (თურქეთში)



სვანური ენის დიალექტებია:

| ზ.ს. | ქვ. ს. |
| --- | --- |
| ბალსზემოური | ლენტეხური |
| ბალსქვემოური | ლაშხური |

ჩოლურული???



ზემო სვანეთი — მესტიის რაიონი (ბ.ზ, ბ.ქ, დიალექტები) გასდევს მდ. ენგურს

ქვემო სვანეთი — ლენტეხის რაიონი (ლენტ. ლაშხ. დიალექტები) გასდევს მდ. ცხენისწყლის ზემო წელს

ბალსზემოურის გავრცელების არეალი — უშგული, კალა, იფარი, მულახი, მესტია, ლენჯერი, ლატალი

ბალსქვემოურის გავრცელების არეალი — ბეჩო, ცხუმარი, ეცერი, ფარი, ჩუბეხევი, ლახამულა

- სვანურის დიალექტებში ხმოვანთა რაოდენობა მერყეობს 9-დან 18-მდე

- ბალსზემოური, ჩოლურული — ა, ე, ი, ო, უ, ჷ, ჷ̄, ა̄, ა̈, ა̄̈, ო̄, ო̈, ო̄̈, უ̄, უ̈, უ̄̈, ი̄, ე̄ (18)

- ბალსქვემოური — ა, ე, ი, ო, უ, ჷ, ა̈, ო̈, უ̈ (9)
- ლენტეხური — ა, ე, ი, ო, უ, ჷ, ა̈, ო̈, უ̈ (9)
- ლაშხური — ა, ე, ი, ო, უ, ჷ, ჷ̄, ა̄, ო̄, უ̄, ი̄, ე̄ (12)

## ა̈, ა̄, ა̈̄

- ჴა̈ნ „ხარი,, გა̈ჩ „დანა,,
- მა̄რე „კაცი,, ქა̄ლე „მოდი,,
- პა̈̄ჭუ̂ე „ლაპარაკობს,, ლა̈̄ხა̈მ „შეჭამე,,

## ჷ, ჷ̄

- ლჷგრე „კვერცხი,, ლჷყმე „დამხრჩვალი,,
- ლჷ̄გ „დგას,, ბჷ̄დნი „ილვრება,,

## ე̄, ი̄, ო̄, ო̈̄

- სე̄მი „სამი,, დი̄ნა „გოგო,, ხო̄გ „უდგას,,

კვლევის პროცესში დანახული რეალობა:

*გუშგვე ხოხრალ დეშ გარგლიხ ლუშნუდ - ,,ჩვენი უმცროსები ვერ საუბრობენ სვანურად’’

*საუბრის შემთხვევაში მარტივი წინადადებები ჭარბობს, ქართული ლექსიკური ერთეულების თანხლებით



# კვლევისთვის პრიორიტეტი - **მხცოვანთა მეტყველება**

თემატიკა:
ადათ-წესები, ტრადიციები,
ეპოსი…
იმპროვიზაცია….

გაბმული მეტყველება -
რთული წინადადების
კონსტრუქციები



* ენის გრძნობას მობმებნა არ სჭირდება, იგი ყველა ადამიანის ქვეცნობიერში დევს, ამის დასტურია თუნდაც პატარა ბავშვის ამეტყველება, ამა თუ იმ ენაზე, რომესაც განსაზღვრავს ის გარემო და სოციუმი რომელშიც უწევს მას ამეტყველება

* სანამ ქართველები (მეგრელები, სვანები და ქართულის დიალექტებზე მოსაუბრეები - ფერეიდნელები, თურქეთის ქართველები, ინგილოები) დროის, სივრცისა და ენის განზომილებებში ჩვენ თავს ვხედავთ  ქართულ ენაში, მანამდე ვრჩებით ქართველებად!



*ქართველური ენების მრავალსაუკუნოვან თანაარსებობას ხელი არ შეუშლია სალიტერატურო ენის განვითარებისათვის და განმტკიცებისათვის!*



* ქართველური ენები მესამე ათასწლეულის საგანძურადაც რომ იქცეს, არ კმარა მხოლოდ სახელმწიფოსა და მეცნიერთა ძალისხმევა...

ნუ დავუკარგავთ სვანურს საოჯახო ფუნქციას - ეს როლი კი მშობლებს, ბებია-ბაბუებსა და მომავალ თაობას გვეკისრება...

გმადლობთ ყურადღებისათვის...